# საქართველო

## სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

### აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი.

14 იანვარი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის

## განკარგულება № 18

**აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის $27^{I}$- ემუხლის მე-2 ნაწილის „თ" პუნქტის, $27^{III}$-ე მუხლის და „სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივნისის №406 ბრძანებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-7-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის $36^1$, $36^2$, $36^3$, $36^4$ მუხლების შესაბამისად და „კობა ქანთარიას აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 13 იანვრის № 13/სა ბრძანების, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 14 იანვრის №46 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

1. შეიქმნას აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში „კომისია") შემდეგი შემადგენლობით:
   ა) კობა ქანთარია – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) ხვიჩა ქიშკარიანი - სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
   გ) სულხან ძიგუა – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი – კომისიის წევრი;
   დ) მერაბ დანელია – USAID – NEO ქემონიქს საერთაშორისო მობილიზატორი C-2 სოფლის მეურნეობის სპეციალისტი – კომისიის წევრი;
   ე) ბესიკ ჭეჟია – აუდიტორული კომპანია შ.პ.ს. „ჯ.ბ. აუდიტი"- ს გენერალური დირექტორის მოადგილე – კომისიის წევრი.

2. კომისიამ თავისი საქმიანობა წარმართოს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულებების შესაბამისად;

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ტელ.: 0 (415) 25 00 04, ფაქსი: 0 (415) 25 05 05.

3. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180-ე მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, მის. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. № 12.

ლევან შონია
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი